

**შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა**  
**საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის**  
**მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ**

საქართველოს მთავრობა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში "მონაწილე მხარეებად" წოდებულნი,

სურთ რა, განავითარონ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა სავაჭრო ნაოსნობის სფეროში, საერთაშორისო სავაჭრო ნაოსნობის განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით, თავისუფალი სავაჭრო ნაოსნობის პრინციპების საფუძველზე,

მხედველობაში იღებენ, რა საერთაშორისო კანონმდებლობით და განსაკუთრებით საერთაშორისო საზღვაო კონვენციებით ჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომელთა წევრიც არის ორივე მხარე,

გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება.

**მ უ ხ ლ ი 1**

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

1. ტერმინი "მონაწილე მხარის გემი" ნიშნავს ნებისმიერ გემს, რომელიც რეგისტრირებულია ამ მხარის სანაოსნო რეგისტრში და ცურავს მისი დროშის ქვეშ.

ამასთანავე, ეს ტერმინი არ უნდა მოიცავდეს:

(ა) საბრძოლო გემებსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დამხმარე გემებს,

(ბ) გემებს, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ ადმინისტრაციულ და სახელმწიფო ფუნქციებს,

(გ) სამეცნიერო-კვლევით გემებს,

(დ) თევზსაჭერ გემებს.

2. ტერმინი "გემის ეკიპაჟის წევრი" ნიშნავს - კაპიტანს ან ნებისმიერ პირს, რომელიც რეისის დროს ნამდვილად დაკავებულია გემზე იმ მოვალეობათა შესრულებით, რომლებიც დაკავშირებულია გემის ექსპლუატაციასა და მასზე მომსახურებასთან და შეყვანილია ეკიპაჟის სიაში.

3. ტერმინი „კაბოტაჟი“ ნიშნავს ერთ-ერთი მონაწილე მხარის პორტებს შორის ტვირთისა და მგაფრების ტრანსპორტირებას. ტერმინი „კაბოტაჟი“ მოიცავს საქონლის ნებისმიერ ტრანსპორტირებას, რომელიც მიუხედავად თანმხლები კონსიპენტისა და მიუხედავად მათი წარმოშობისა და დანიშნულებისა, იგზავნება პირდაპირ ან არაპირდაპირ თითოეული მონაწილე მხარის პორტებში, იმავე მონაწილე მხარის სხვა პორტში გადაზიდვის მიზნით. იგივე დებულებები გამოიყენება მგზავნთა გადაყვანის შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა ისინი მგზავრობენ ბილეთებით.

4. ტერმინი „საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი“ ნიშნავს ნებისმიერ ტრანსპორტს გემის სახით, გარდა გამონაკლისისა, როცა გემი გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე განლაგებულ ადგილებს შორის.

## მ უ ხ ლ ი 2

მონაწილე მხარეები დააფუძნებენ თავიანთ სანაოსნო ურთიერთობების განვითარებას თავისუფალი და კეთილსინდისიერი კონკურენციისა და თავისუფალი ნაოსნობის პრინციპებზე და თავს აარიდებენ ნებისმიერ ქმედებებს, რომლებმაც შეიძლება უკუგავლენა იქონიონ საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტირებასა და ვაჭრობაზე. არადისკრიმინაციული პრინციპები გამოიყენება იმ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა კომერციული საქმიანობის განმარტაციულად გემების მიმართ, რომლებიც ცურავენ ერთ-ერთი მონაწილე მხარის დროშის ქვეშ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

## მ უ ხ ლ ი 3

1. მონაწილე მხარეები, თავიანთი ქვეყნების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გააგრძელებენ საკუთარ ძალისხმევას, თავიანთი ქვეყნების საზღვაო ტრანსპორტის კომპეტენტურ ხელისუფალთა შორის უწყვეტი თანამშრომლობის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის. კერძოდ, ირივე მხარე თანახმაა გაუწიოს ერთმანეთს კონსულტაცია და გაცვალოს ინფორმაცია მათ კომპეტენტურ ხელისუფალთა შორის საზღვაო საქმის შესახებ.

2. ტერმინი „კომპეტენტური ხელისუფლება“ ნიშნავს:

- საქართველოში საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციას
- საბერძნეთის რესპუბლიკაში საზღვაო ვაჭრობის სამინისტროს.

3. კომპეტენტურ ხელისუფალთა სახელისა ან ფუნქციების ცვლილების შემთხვევაში მონაწილე მხარეები განახორციელებენ აუცილებელ შეტყობინებას დიპლომატიური არსების მეშვეობით.

#### მ უ ხ ლ ი 4

მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყონ ერთმანეთი ტექნიკური დახმარებით საზღვაო ტრანსპორტირების განვითარებისათვის. ამ მიზნისათვის მონაწილე მხარეები წაახალისებენ და ხელს შეუწყობენ კონტაქტებისა და თანამშრომლობის განვითარებას მათი საზღვაო და მასთან დაკავშირებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის.

#### მ უ ხ ლ ი 5

1. მონაწილე მხარეები თანახმანი არიან მიჰყვენ საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტირებაში თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს და სახელდობრ:

ა) უზრუნველყონ საქონლისა და მგზაურების საზღვაო ტრანსპორტირებისას, საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკის გემების შეუზღუდავი შესვლა მონაწილე მხარეების პორტებს შორის ისევე, როგორც მათ პორტებსა და მესამე სახელმწიფოს პორტებს შორის.

ბ) უზრუნველყონ, რომ მათ გემებს ჰქონდეთ უფლება, რათა თავისუფლად უზრუნველყონ საერთაშორისო საზღვაო-სამდინარო მომსახურება, მონაწილე მხარეების ეროვნულ კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) ითანამშრომლონ ერთმანეთთან, წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს მხარეების პორტებს შორის საზღვაო ვაჭრობის განვითარება.

დ) თავი შეიკავონ ზომებისაგან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მონაწილე მხარეების გემების საზღვაო ვაჭრობაში მონაწილეობას, მონაწილე მხარეებისა და მესამე სახელმწიფოების პორტებს შორის.

ე) გააუქმონ ნებისმიერი ცალმხრივი შეზღუდვა, მონაწილე მხარეების გემებისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ განკუთვნილი ტვირთისა და მგზაურების საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტირებასთან მიმართებით.

ვ) გააუქმონ ნებისმიერი შეთანხმება ტვირთის განაწილების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეთანხმებები ჩართულია მონაწილე მხარეების არსებულ ორმხრივ შეთანხმებებში.

2. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის დებულებები არ მოახდენს ზემოქმედებას მესამე სახელმწიფოს გემების უფლებაზე მიიღოს მონაწილეობა მონაწილე მხარეების პორტებს შორის საზღვაო ვაჭრობაში.

3. არაფერი ამ მუხლში არ შეუშლის მონაწილე მხარეებს ხელს, რათა გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, მათი სავაჭრო ფლოტის კონკურენტული კომერციის საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

### მ უ ხ ლ ი 6

ერთ-ერთი მონაწილე მხარის გემებს, როდესაც შედიან მეორე მონაწილე მხარის პორტში, მათი ტვირთის ნაწილის გადმოსატვირთავად შეუძლიათ ამ სახელმწიფოს კანონებისა და საკანონმდებლო აქტების შესრულების შემდეგ, დატოვონ გემბანზე მისი ტვირთის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია იმავე ან სხვა სახელმწიფოს სხვა პორტისათვის, ან გადატვირთოს ის სხვა გემზე რაიმე დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე, თავის გემებზე მეორე მონაწილე მხარის მიერ მსგავს შემთხვევებში დაკისრებული გადასახადისაგან განსხვავებით. იმავე გზით, თითოეული მონაწილე მხარის გემებს შეუძლიათ შევიდნენ მეორე მხარის ერთ ან მეტ პორტში უცხოური პორტებისათვის განკუთვნილი თავიანთი ტვირთის ნაწილობრივ ან მთლიანად დასატვირთავად იმ გადასახადების გადახდის გარეშე, რომლებიც დაკისრებულია მსგავს შემთხვევებში მეორე მონაწილე მხარის მიერ მის გემებზე.

### მ უ ხ ლ ი 7

1. თითოეულმა მონაწილე მხარემ უნდა მიაწოდოს მეორე მონაწილე მხარის გემებს იგივე რეჟიმი, რომელსაც ის ანიჭებს საერთაშორისო ნაოსნობაში მონაწილე თავის გემებს პორტებში თავისუფლად შეღწევის, ნავსაყუდელის განლაგებისა და პორტის საშუალებების მთლიანი გამოყენების, ტვირთების დატვირთვისა და გადმოტვირთვის, მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსხდომის, ნებისმიერი გადასახადებისა და ვალდებულებების გადახდის, ნაოსნობისათვის

განკუთვნილი მომსახურეობის გამოყენებისა და სხვა ნორმალური საფაქრო ოპერაციების განხორციელების მიმართებაში.

2. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის დებულებები

(ა) არ უნდა შეეხოს უცხოური გემების შესვლისათვის დახურულ პორტებს,

(ბ) არ უნდა მოახდინოს გავლენა იმ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც ეხება უცხოელების შესვლასა და ყოფნას,

(გ) არ უნდა შეეხოს იმ საქმიანობას, რომელიც განკუთვნილია თითოეული მონაწილე მხარის მიერ მათი ეროვნული დროშის ქვეშ მცურავი გემების ან საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, განსაკუთრებით კაბოტაჟის, თევზჭერის, პილოტაჟის, ბუქსირების, გემის გადარჩენის და სანოსნო დახმარების ჩათვლით.

(დ) არ უნდა დაავალდებულოს თითოეული მონაწილე მხარე გააფრცვლოს მეორე მონაწილე მხარის გემებზე თავის გემებისათვის მინიჭებული იძულებითი საპილოტაჟო ვალდებულებებისაგან განთავისუფლება.

(ე) არ უნდა შეეხოს იმიგრაციასა და იმიგრანტების გადაყვანას.

### მ უ ხ ლ ი მ

1. ამ შეთანხმების ნებისმიერი მუხლის თანახმად, რომელიც სხვაგვარად ითვალისწინებს, მონაწილე მხარეები მიანიჭებენ ერთმანეთს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მსგავს რეჟიმს, ნაოსნობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხებში.

2. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის დებულებები არ უნდა შეეხოს უპირატესობებს, რომლებიც გამომდინარეობენ თითოეული მონაწილე მხარის ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საინტეგრაციო შეთანხმებაში მონაწილეობიდან.

### მ უ ხ ლ ი 9

მონაწილე მხარეები, მათი კანონმდებლობისა და პორტის დებულებების, ისევე როგორც, საერთაშორისო კანონით გათვალისწინებული მათი ვალდებულებების ფარგლებში, მიიღებენ ყველა საჭირო ზომებს ნაოსნობის უემსუბუქებისა და გამარტივების ხელშეწყობად, გემების არასაჭირო შეფერხებების თავიდან აცილებისათვის და შეძლებისდაგვარად გაამარტივებენ და უემსუბუქებენ საბაჟო სანიტარიის, საკონტროლო და საპორტო

ფორმალობებისა და პორტისათვის მისადაგებული სხვა ფორმალობების გატარებას.

## მ უ ხ ლ ი 10

1. გემების ეროვნულობის დამატასტურებელი დოკუმენტები, ისევე როგორც ერთ-ერთი მონაწილე მხარის მიერ გაცემული ან აღიარებული ნებისმიერი გემის დოკუმენტები, აღიარებულ იქნება მეორე მხარის მიერ. რაც შეეხება უსაფრთხო სექტორს, მონაწილე მხარეები აღიარებენ მათ მიერ უზრუნველყოფილ საკუთარი გემების შესაბამის სერტიფიკატებს იმ პირობით, რომ ეს სერტიფიკატები შეესაბამება შესაბამის მოქმედ საერთაშორისო კონვენციებს.

2. თითოეული მონაწილე მხარის გემები, რომლებიც აღჭურვილია ტონაჟის საზომი სერტიფიკატებით არ დაექვემდებარება ხელახალ აზომვას მეორე მხარის პორტებში და სერტიფიკატში აღნიშნული მონაცემები აღებულ იქნება, როგორც საფუძველი ნებისმიერი სახის ან ტიპის საპორტო გადასახადების გამოთვლისათვის, იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები გაცემულ იქნა ტონაჟის გაზომვის შესახებ მოქმედი საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად.

გემების ტონაჟის სერტიფიკატი, 24 მეტრზე ქვემოთ, რომელიც გაცემულია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ორმხრივად იქნება აღიარებული. განსაკუთრებით, გარემოსათვის უსაფრთხო ნავთობის ტანკერებისათვის, სეგრეგაციული ბალასტის ცისტერნით (SBT) ან ორმაგი კორპუსით, საპორტო და საპილოტაჟო გადასახადი შემცირებულ იქნება:

(ა) გემის საერთო ტონაჟიდან SBT-ის ან ორმაგი გარსის მოცულობის მთლიანი ტევადობის გამორიცხვით, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) [ A 747 (18) ] რეზოლუციის შესაბამისად ან

(ბ) იმ პროპორციული პროცენტული დაკლების შესრულებით, რომელიც გამოძინარეობს SBT-დან ან ორმაგი გარსის მოცულობიდან და წარმოადგენს გემის მთლიან ტევადობას.

3. იძულებითი გაყიდვისაგან განცალკევებით, რომელიც გამოძინარეობს სასაქონლოს გადაწყვეტილებიდან, ერთ-ერთი მონაწილე მხარის გემები არ შეიძლება რეგისტრირებულ იქნან მეორე მხარის რეესტრში იმ სერტიფიკატის წარდგენის გარეშე, რომელიც გაცემულია გემების წარმოშობის ქვეყნის კომპეტენტურ

ხელისუფალთა მიერ და ადასტურებს, რომ გეგები უკვე ამოშლილ იქნა ამ მხარის რეესტრიდან.

## მ უ ხ ლ ი 11

1. თითოეულმა მონაწილე მხარემ უნდა აღიაროს მეორე მხარის კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ გემის ეკიპაჟის იმ წევრებისათვის გაცემული პირადობის მოწმობები, რომლებიც არიან ამ მხარის მოქალაქეები და მიანიჭოს ამ შეთანხმების მე-12 და მე-13 მუხლებით განსაზღვრულ პირობებზე უფლებები იმ პირებს, რომლებიც ფლობენ ამ პირადობის მოწმობებს.

ეს პირადობის მოწმობები არის:

- საქართველოს შემთხვევაში - მეზღვაურის წიგნაკი;
- საბერძნეთის რესპუბლიკის შემთხვევაში - ბერძნული მეზღვაურის წიგნაკი და საბერძნეთის პასპორტი.

2. მე-12 და მე-13 მუხლის დებულებები შესაბამისად შეეხება ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოქალაქე, მაგრამ ფლობს პირადობის წიგნაკს, 1965 წლის საერთაშორისო ნაოსნობის შესახებ კონვენციის დებულებებისა და თანდართული დანართის შესაბამისად, ან რომელიც გაცემულ იქნა 1958 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის № 108 კონვენციის შესაბამისად, რომელიც ეხება მეზღვაურის ეროვნების პირადობის მოწმობას.

3. ამ შეთანხმების მე-12 და მე-13 მუხლის დებულებები შეძლებისდაგვარად უნდა შეეხოს ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის საქართველოს ან საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქე და ფლობს სხვა პირადობის მოწმობას, ამ მუხლის მე-2 პარაგრაფში მოხსენიებული პირადობის მოწმობისაგან.

## მ უ ხ ლ ი 12

1. ერთ-ერთი მონაწილე მხარის გემის ეკიპაჟის წევრებს, რომლებიც ფლობენ ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლში აღწერილ მეზღვაურის პირადობის მოწმობას, უფლება აქვთ დროებით იმყოფებოდნენ ნაპირზე ვიზის გარეშე, მეორე მონაწილე მხარის პორტებში გემების ყოფნის დროს, იმის გათვალისწინებით, რომ კაპიტნები წარუდგენენ კომპეტენტურ ხელისუფალთ ეკიპაჟის სიას, ამ პორტში მოქმედი წესების შესაბამისად.

2. გემებიდან ხმელეთზე გადმოსვლისა და დაბრუნების დროს ზემოაღნიშნული პირობი წარმოადგენენ ამ პორტში მოქმედი სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის საგანს.

### მ უ ხ ლ ი 13

1. ამ შეთანხმების მე-11 მუხლში განსაზღვრული მეზღვაურის პირადობის მოწმობის მფლობელებს უფლება ეძლევათ, როგორც მგზავრებს, შევიდნენ ან დატოვონ მეორე მხარის ტერიტორია, ტრანსპორტის ნებისმიერი საშუალებებით, თავიანთ გემთან შეერთების ან ტრანზიტით გემზე გადასვლის მიზნით, რათა შეუერთდნენ თავიანთ გემს სხვა ქვეყანაში, რეპატრაციის მიზნით, საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, ან მეორე მხარის ხელისუფალთა მიერ ნებადართულ საჭიროების ნებისმიერ სხვა შემთხვევაში.

2. ამ მუხლის 1-ელ პარაგრაფში განსაზღვრულ შემთხვევებში, მეზღვაურს უნდა ჰქონდეს მეორე მონაწილე მხარის შესაბამისი ვიზა, რომელიც გაცემულ იქნება კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ უმოკლეს შესაძლო ვადაში.

### მ უ ხ ლ ი 14

1. ამ შეთანხმების მე-11-13 მუხლების დებულებების თანახმად, მხარეთა ეროვნული საკანონმდებლო აქტები უცხოელთა შესვლის, ყოფნის და გამგზავრების მიმართებაში, ძალაშია მონაწილე მხარეების ტერიტორიებზე.

2. თითოეული მონაწილე მხარე ინარჩუნებს უფლებას უარი განუცხადოს მის ტერიტორიაზე შესვლაზე და/ან ყოფნაზე იმ მეზღვაურს, რომელსაც ის არასასურველად მიიჩნევს.

3. ამ შეთანხმების მე-11 და მე-12 მუხლის დებულებები აგრეთვე ეხება მონაწილე მხარეების გემბანზე მყოფ იმ პირებს, რომლებიც არც ეკიპაჟის წევრები არიან და არც შეტანილნი არიან ეკიპაჟის სიაში. მაგრამ ჩართულნი არიან გემის მგზავრობის დროს მის მომსახურეობას ან ქუშაობისთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან და შეტანილნი არიან სპეციალურ სიაში.

## მ უ ხ ლ ი 5

1. თითოეული მონაწილე მხარის გემის მფლობელებს შეუძლიათ დაიქირაონ მონაწილე მხარის დროშის ქვეშ მცურავ გემზე, მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეობის მქონე მეზღვაურები, იმ მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის დროშის ქვეშაც ცურავს ეს გემი.

2. დაქირავების პირობები თავისუფლად შეთანხმებულია გემის მფლობელებსა და მეზღვაურებს შორის და ჩართულნი არიან დაქირავების შესახებ კონტრაქტში. დაქირავების პირობები შეიძლება განისაზღვროს ერთი მხარის გემთმფლობელების კავშირისა და მეზღვაურთა ფედერაციას შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებებით, ან მეორე მხარის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.

3. თუ მონაწილე მხარის დროშის ქვეშ მცურავი გემები შედიან მეორე მხარის პორტებში, ან ცურავენ ასეთი მეორე მხარის ტერიტორიულ ან შიდა წყლებში, ამ მხარემ ხელი უნდა შეუწყოს ასეთ გემებზე დაქირავებულ მეზღვაურებს, როგორც მათ შეცვლაში, ასევე მათ რეპატრიაციაში.

4. დაქირავების შესახებ კონტრაქტიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავის შემთხვევაში, გამოიყენება იმ ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობა და მოქმედი იურისდიქცია, რომლის დროშის ქვეშაც ცურავს გემი.

## მ უ ხ ლ ი 16

1. თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარის გემის ეკიპაჟის წევრი ჩაიდენს დანაშაულს გემზე, როდესაც გემი იმყოფება მეორე მხარის შიდა წყლებში, ამ მხარის ხელისუფლება არ გააგრძელებს მასზე სასამართლო ზომებს პირველი მხარის კომპეტენტური დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლებთან შეთანხმების გარეშე. მანამ ვიდრე:

(ა) დანაშაულის შედეგები გაგრძელდება მეორე მხარის ტერიტორიაზე, ან

(ბ) დანაშაული ისეთი სახისაა, რომელიც არღვევს მეორე მხარის მკუდროებას, ან სახელმწიფო წყობასა და უსაფრთხოებას, ან

(გ) სასამართლო ზომების გამოყენება აუცილებელია ნარკოტიკების უკანონო გადაადგილების აღკვეთისათვის, ან

(დ) გემის კაპიტანმა ითხოვა სასამართლო ზომების გამოყენება დაზარალების მიმართ, ან

(ე) დანაშაული ჩადენილია ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც არ არის გემის ეკიპაჟის წევრი.

2. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია ერთ-ერთი მონაწილე მხარის დროშის ქვეშ მცურავ გემზე, რომელიც კვეთავს მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიულ წყლებს და რამდენადაც ეს დანაშაული ეხება კრიმინალურ იურისდიქციას, გამოიყენება საზღვაო კანონმდებლობის შესახებ გაეროს კონვენციის 27 მუხლის დებულებები.

ა. 1-ლი და მე-2 პარაგრაფების შემთხვევებში წინასწარ შეტყობინებულ უნდა იქნას იმ მხარის კომპეტენტური დიპლომატიური ან საკონსულარო წარმომადგენლები, რომლის დროშის ქვეშაც ცურავს გემი, მანამდე, სანამ სანაპირო სახელმწიფოს ხელისუფლება მიიღებს ნებისმიერ ზომას.

ბ. საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში ზემოაღნიშნული შეტყობინება შესაძლებელია განხორციელებულ იქნას იმ დროს, როდესაც მიიღება აღნიშნული ზომები.

გ. ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის დებულებებმა გავლენა არ უნდა მოახდინონ მონაწილე მხარეების ხელისუფალთა უფლებაზე, განხორციელონ ნებისმიერი გამოკვლევა ან ნებისმიერი გამოძიება მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

თითოეულმა მონაწილე მხარემ თავისი სისხლის სამართლის, სამოქალაქო და დისციპლინარული იურისდიქციის გატარებისას უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოს მეორე მონაწილე მხარის გემების დაკავება. თუ ასეთი დაკავება აუცილებელია, მონაწილე მხარეებმა მინიმუმამდე უნდა შეამცირონ მისი დაკავების დრო, ან გარანტიის წარდგენის შემთხვევაში ნება დართოს გემის ცურვის გაგრძელებას.

## მ უ ხ ლ ი 17

თითოეული მონაწილე მხარის იურიდიული და/ან ადმინისტრაციული ხელისუფალნი არ მიიღებენ მეორე მხარის გემის ეკიპაჟის წევრის დაქირავების შესახებ კონტრაქტთან დაკავშირებულ ზომებს მანამ, სანამდე ისინი მოთხოვნილია იმ სახელმწიფოს კომპეტენტური დიპლომატიური ან საკონსულარო წარმომადგენლების მიერ, რომლის დროშის ქვეშაც ცურავს გემი.

## მ უ ხ ლ ი ზ

1. თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარის გემი დაიღუპება, შეჯდება მეჩხრზე, გაირიყება ნაპირზე, ან შეემთხვევა სხვა სახის ავარია მეორე მხარის სანაპიროსთან ახლოს, მაშინ გემი და მისი ტვირთი ამ უკანასკნელი მხარის ტერიტორიაზე ისარგებლებს იმავე რეჟიმით, რომელიც მინიჭებულია მისი წარმოშობის გემებისა და ტვირთებისადმი.

2. გემს, მის ეკიპაჟს, მგზავრებსა და ტვირთს ნებისმიერ დროს გაეწევათ იგივე დახმარება და თანამდგომა, როგორც მისი ეროვნულობის მქონე გემის შემთხვევაში.

3. ამ მუხლის 1-ელ პარაგრაფში აღწერილი გემიდან გადმოტვირთული ან გადარჩენილი ის ტვირთი და მისი ნაწილი, რომელიც არ არის შემოტანილი მეორე მხარის ტერიტორიაზე გამოყენების ან მოხმარებისათვის, არ დაექვემდებარება ნებისმიერ საბაჟო ვალდებულებებს.

4. ამგვარად მეჩხრზე შემჯდარი ან დაღუპული გემი, ისევე როგორც მისი ნაწილი, ნაშესვრებები ან შემაღენელი ნაწილები და ყველა მოწყობილობა, ტაკელაჟი, გადარჩენილი ტვირთი, ამგვარი გემების ან საზიფათო მდგომარეობაში მყოფი გემების მიერ ჩამოგდებული ტვირთის ჩათვლით ან თუკი ამგვარი რამ მოხდა, ისევე როგორც მეჩხრზე შემჯდარ ან დაღუპულ გემზე ნაპოვნი ან მისი კუთვნილი ყველა დოკუმენტი მიწოდებულ იქნება მისი მფლობელის წარმომადგენლობისათვის, როცა ისინი მოთხოვნილ იქნებიან.

5. ამ მუხლის დებულებები გავლენას არ ახდენს ერთ-ერთი მონაწილე მხარის უფლებებზე, ან იმათზე, რომლებიც უფლებამოსილია ამ მხარის მიერ, სთხოვოს მეორე მხარეს ან იმათ, რომლებიც უფლებამოსილია მეორე მხარის მიერ, შესაბამისი კომპენსაცია ნებისმიერი მოქმედებებისათვის, რომლებიც მიღებულ იქნა გემის გადარჩენის, ან გემისათვის, ეკიპაჟისათვის, მგზავრებისა და ტვირთისათვის გაწეული ნებისმიერი დახმარებისათვის.